ხელშეკრულება № 63

ქ. ბათუმი დიდაჭარის ქუჩა N23 13 ივნისი 2016წ.

ერთის მხრივ ,,შემსყიდველი" ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური" ს/კ 248433627 , მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23, მისი დირექტორის: დავით ღოღობერიძის სახით და მეორეს მხრივ ,,მიმწოდებელი" შ.პ.ს "BS METAL GROUP"-ის დირექტორი: თემურ გორგაძე ს/კ 445414212 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შევთანხმდით შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი დასახელების მასალების მიწოდება:

CPV კოდი 14711000 ლით. ფურცელი 4X1250X2500 (რკინა) – 5 ცალი , 985,80 ლარი;

CPV კოდი 14711000 ლით. ფურცელი 4X1250X2500 (რკინა) – 1 ცალი , 69,36 ლარი;

CPV კოდი 14711000 ლით. ფურცელი 4X1250X2500 (რკინა) – 12 ცალი , 27.0 ლარი;

CPV კოდი 14711000 ლით. ფურცელი 4X1250X2500 (რკინა) – 6 ცალი , 77.34 ლარი;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1159,5 (ათას ასორმოცდაცხრამმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

2.3. მოსაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ მოწოდებული სასაქონლო ზედნადების თანახმად.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია, როგორც წინასწარი გადარიცხვის გზით, ასევე საქონლის მიღებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.3 საქონლის მიწოდება განხორციელდეს 2016 წლის 15 ივნისამდე.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ითვლება მიმწოდებლის მიერ მოწოდებულად და დამკვეთზე ჩაბარებულად მოწოდებული საქონლის ჩაბარების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.2 საქონელი ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ძესრულებისა და ხარისხის შემოწმება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

7.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. ფორსმაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორსმაჟორი). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით;

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 აგვისტომდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი":
ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების,
დასუფთავების და კომუნალური
მომსახურების სამსახური"
ს/ნ 248433627
მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23

დირექტორი: / დ. ღოღობერიძე/

„მიმწოდებელი":
შ.პ.ს "BS METAL GROUP"
ს/ნ 445414212
ს.ს. თიბისი ბანკი
ა/ნ GE20TB7693036080100004
კოდი TBCBGE22

დირექტორი: / თ.გორგაძე/

ტელ 577 21 01 04

აქტი

(მიღება ჩაბარების შესახებ)

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23 14 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ „შემსყიდველი" ა(ა)იპ ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავების და კომუნალური მომსახურების სამსახური ს/კ 248433627, მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა №23, მისი დირექტორის დავით ღოღობერიძის სახით და მეორეს მხრივ „მიმწოდებელი შ.პ.ს „ BS METAL GROUP "-ს დირექტორი თემურ გორგაძე ს/კ 445414212 ჩვენს შორის 2016 წლის 13 ივნისს გაფორმებული №63 ხელშეკრულების თანახმად „მიმწოდებელმა" ნამდვილად მიაწოდა ხოლო „შემსყიდველმა" ჩაიბარა შემდეგი დასახელების საქონელი:

ლით. ფურცელი 4X1250X2500 (რკინა) – 5 ცალი , 985,80 ლარი;

ლით. ფურცელი 4X1250X2500 (რკინა) – 1 ცალი , 69,36 ლარი;

ლით. ფურცელი 4X1250X2500 (რკინა) – 12 ცალი , 27.0 ლარი;

ლით. ფურცელი 4X1250X2500 (რკინა) – 6 ცალი , 77.34 ლარი;

სულ მიწოდებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 1159,5 ლარი, ყველა გადასახადების ჩათვლით.

აქტი სწორია, რასაც ხელისმოწერით ვადასტურებთ:

„შემსყიდველი"
ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების,
დასუფთავებისა და კომუნალური
მომსახურების სამსახური"
ს/კ 248433627
მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა №23

დირექტორი: /დავით ღოღობერიძე/

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს „ BS METAL GROUP "

ს/კ 445414212

ДИРЕКТОРИ: /თემურ გორგაძე/